

შპს მეექვსე საავტორო სკოლა
(ს/კ 404405443)

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს მეექვსე საავტორო სკოლა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით.

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები (1)	643,423	499,355	210,903
საფაქრო მოთხოვნები	391,974	463,490	162,898
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			-
მარაგები			
- მზა პროდუქცია			
- სხვა			
სხვა არამატერიალური აქტივები			
სხვა მიმდინარე აქტივები (2)	21,822	28,465	15,968
ძირითადი საშუალებები (3)	3,778,019	3,748,341	3,870,052
სხვა გრძელვადიანი აქტივები (4)	638,205	638,205	638,205
სულ აქტივები	5,473,443	5,377,856	4,898,026
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
საფაქრო ვალდებულებები	6271	25,621	46,610
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი		10,263	161,566
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	39,319	39,319	35,386
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2,452,511	2,524,249	2,116,499
სხვა ვალდებულებები	42,645	50,027	12,571
სულ ვალდებულებები	2,540,746	2,649,479	2,372,632
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3,800,000	3,800,000	3,800,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(867,303)	(1,071,623)	(1,274,606)
სულ საკუთარი კაპიტალი	2,932,697	2,728,377	2,525,394
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5,473,443	5,377,856	4,898,026
სულ მოკლევადიანი აქტივები	869,452	991,310	389,769
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	114,967	125,231	256,132

დირექტორი: თუთა ნარმანია

ბუღალტერი: ხატია როგავა

30 სექტემბერი, 2022

30 სექტემბერი, 2022

შპს მეექვსე საავტორო სკოლა

მოგება-ზარალის ანგარიშგება და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით;

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები	2,729,522	2,583,415	2,484,525
მომსახურების გაწევიდან	2,729,522	2,583,415	2,484,525
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	2,729,522	2,583,415	2,484,525
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,678,302)	(1,578,888)	(1,669,205)
ცვტა და ამორტიზაცია	(187,767)	(190,582)	(201,468)
საპროცენტო შემოსავალი:	17,122	27,273	22,805
საპროცენტო ხარჯი :	(26,668)	(61,348)	(62,452)
იჯარის ხარჯი			-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (5)	(392,794)	(200,196)	(268,197)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2,268,409)	(2,003,741)	(2,178,517)
საოპერაციო მოგება	461,113	579,674	306,008
წმინა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	(261,105)	(495,084)	(141,305)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი (6)	(4312)	118,393	(3,176)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	204,320	202,983	161,527
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)	204,320	202,983	161,527
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	204,320	202,983	161,527
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,728,377	2,525,394	2,370,399
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში (7)			(6,532)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,932,697	2,728,377	2,525,394

დირექტორი: თუთა წარმანია

30 სექტემბერი, 2022

ბუღალტერი: ხატია როგავა

30 სექტემბერი, 2022

შპს მეექვსე საავტორო სკოლა
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით;

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საოპერაციო საქმიანობა			
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	(2,207,213)	2,109,855	2,564,591
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(1,678,302)	(1,495,462)	(1,561,608)
იჯარა	21,822	7,259	38,490
სხვა	4,312	1,122	(3,960)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	555,045	622,774	1,037,514
გადახდილი გადასახადები	(295,024)	(294,621)	(410,567)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	260,021	328,153	626,947
საინვესტიციო საქმიანობა			
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის			(104,757)
მიღებული პროცენტი	17,122	27,273	22,805
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	17,122	27,273	(81,952)
საფინანსო საქმიანობა			
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განადგობიდან			42,900
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან			
სესხის ძირის გადახდა	(106,407)	(42,222)	(544,732)
სესხის პროცენტის გადახდა	(26,668)	(24,752)	(99,347)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(133,075)	(66,974)	(601,179)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	144,068	288,452	(56,184)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	499,355	210,903	267,087
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	643,423	499,355	210,903

დირექტორი: თუთა ნარმაია

30 სექტემბერი, 2022



ბუღალტერი: ხატია როგავა

30 სექტემბერი, 2022

სააღრიცხვო პოლიტიკა, ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.
2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მეექვსე საავტორო სკოლა“ (ს/კ 404405443) რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა, N28.

საწარმოს ძირითადი საქმიანობის სფეროა ზოგად-საგანმანათლებლო საქმიანობა.

საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ მეორედ გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი მეორე ფინანსური ანგარიშგება. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და სხვა ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა,

მოგების გადასახადი

საწარმო გადასულია მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე 2017 წლის 1 იანვრიდან. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა ნაგებობები	-4 %
- საოფისე აღჭურვილობა	-20%
- ავეჯი და მოწყობილობები	-20%
- სამზარეულოს აქსესუარები	-20%
- მანქანა-დანადგარები	-20%
- სასკოლო ინვენტარი	- 20-25%
- სხვა ძირითადი საშუალებები	-5%

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთის დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

დირექტორი: თუთა ნარმანია

30 სექტემბერი, 2022



ბუღალტერი: ხატია როგავა

30 სექტემბერი, 2022

Handwritten signature in blue ink.

ბალანსის, მოგება ზარალისა და გაუნაწილებელი მოგების განმარტებები:

1) ფულადი სახსრები და ექვივალენტები:

მეექვსე საავტორო სკოლის ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით, ქალაქ თბილისში. მათი სტრუქტურა შემდეგია:

დასახელება	2021წ	2020წ	2019წ
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშზე	643,423	496,261	207,949
ფულადი სახსრები ბანკის საბარათე ანგარიშზე	0	3,094	2,954
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	643,423	499,355	210,903

2) სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივებში გაერთიანებულია ბალანსზე არსებული საბიუჯეტო გადასახადების დადებითი მნიშვნელობები.

3) ძირითადი საშუალებები:

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2020
1	ბიბლიოთეკა	45,277	5,103	-	40,174
2	მანქანა- დანადგარი	58,180	0	-	58,180
3	ოფისის აღჭურვილობა	391,484	38,745	-	352,739
2	ავეჯი და ინვენტარი	246,411	7,300	-	239,111
5	შენობა-ნაგებობა	3,945,635	0	-	3,945,635
6	მიწა	1,060,800	0	-	1,060,800
	ჯამი	5,747,787	51,148		5,696,638

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება, პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო, საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შერავათების გარეშე;

ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამე მიტანისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შემენის მომენტში ან შემდეგში.

4) სხვა გრძელვადიან აქტივებში შეყვანილია მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე:

დასახელება	2021წ	2020წ	2019წ
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე	638,205	638,205	638,205

5) სხვა ხარჯები:

სხვა ხარჯებში გაერთიანებული არის ადმინისტრაციული და პირდაპირი ხარჯები. მათი სტრუქტურა შემდეგია:

დასახელება	2021წ	2020წ	2019წ
ადმინისტრაციული ხარჯები	268,563	138,374	246,577
პირდაპირი ხარჯები	124,231	61,822	21,620
ჯამი	392,794	200,196	268,197

6) სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი:

სხვა შემოსავლებში გაერთიანებულია შემოსავალი იჯარიდან, მოგება-ზარალი კონვერსიიდან, სავალუტო ანგარიშების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება/ზარალი, სხვა არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები. მათი სტრუქტურა შემდეგია:

დასახელება	2021წ	2020წ	2019წ
შემოსავალი იჯარიდან	21,822	7,259	29,472
მოგება-ზარალი კონვერსიიდან	21,330	18,374	(39,852)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4,066	92,985	7,270
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(246)	(226)	(66)
ჯამი	(4,312)	118,392	(3,176)

7) სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში:

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ფარგლებში შეცვლილ იქნა გამოთვლის ფორმულა რის გამოც 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ჩაიწერა ეს სხვაობა.

დირექტორი: თუთა ნარმანია

30 სექტემბერი, 2022



ბუღალტერი: ხატია როგავა

30 სექტემბერი, 2022

